№ 94 13 მკათათვე, ოთხშაბათი 1866—1877 13 მკათათვე, ოთხშაბათი № 94

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში. № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს, და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდ ფოთლებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწორდეს და შემოკლდეს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამმები

ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

ოქუმი, 10 ივლისს. ღღეს, გაცხარებულის ბრძოლის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა დაიჭირა მტრისაგან გამაგრებული სოფ. მერკულკა.

მტერმა დასტოვა ბრძოლის ველზე 48 გვამი, ბევრი თოფები, ცხენები და სურსათი.

ჩვენის მხრით მოკლულია 2, დაჭრილი 1 მილიციის აფიცერი და 2 სალდათი.

ალექსანდრაპოლი, 11 ივლისს. მუხთარ-ფაშის ჯარის 4 ბათალიონი დაბანაკდა ალიჯის მთის გამაგრებულს ფერდებზე ბიზინკევსა და ძურ-ხანას შუა.

ზემო ეფრათისაკენ ოსმალოებს ახალი ჯარები მოემატათ. აქაური ადგილები განადგურებულია ოსმალოებისაგან. ქრისტიანები, რომელთაც გამოქცევა ვერ მოასწრეს, სულ ამოსჭრეს.

—

სტამბოლი, 10 ივლისს. მთავარ-სარდალი ოსმალოს დუნაის არმიისა მივიდა შუმლაში. სულეიმან-ფაშა დაინიშნა, რეუფ-ფაშის ადგილას, ბალკანის არმიის უფროსად.

ვენა, 11 ივლისს. აქაურს გაზეთებში დაბეჭდილია, რომ რუსის ყაზახებმა, მცირე შეტაკების შემდეგ, დაიჭირეს ქალაქი პოპანლე რაზგრადის სამხრეთით.

ლონდონი, 11 ივლისს. გაზეთი „Standard“ ამბობს, რომ ტყუილია, ეითომც ინგლისის მმართებლობას განზრახვა ჰქონდესო, რომ თავის ჯარებით ბალიპოლის დაჭერა უნდაო; მმართებლობამ გადაწყვიტა მხოლოთ, რომ რამდენიმე ახალი ჯარი მიუმატოს კიდევ მალტისა და ბიბრალტარის გარნიზონს და მართლაც ამ მოკლე ხანში იქ ჩვენი ჯარი იგზავნება.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

„რეიტერის აგენტობაში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა, რომელიც ამ გაზეთს არზრუმიდამ მიოლია:

„არზრუმი, 25 ივნისს. რუსებს ყარსთან 40 ბატალიონი ჯარი ჰყავთ; დანარჩენი ჯარი და აგრეთვე ზარბაზნები იმათ ალექსანდრაპოლისაკენ გაგზავნეს. 22 ივნისს ყარსის ახლო-მახლო ალაგებში ერთი რუსის სალდათიც აღარ ყოფილა და მუხთარ-ფაშამ დაუბრკოლებლივ გამართა კავშირი ამ ციხის გარნიზონთან.

„რუსის ჯარი დამარცხებული იქმნა არდანუჯთან და ამის შემდეგ ისინი არტაანისაკენ წავიდნენ, საცა ამათ ახალი ჯარი გაგზავნეს.“

იგივე გაზეთი გვაცნობებს, რომ მუხთარ-ფაშა 27 ივნისს ჩავთლიყ ძეეთან შეუერთდა ყარსის გარნიზონსაო. რუსები ჭურუქ-დარასთან არიან. „ერთი ნაწილი ბათუმის ატრიადისა ოსმალოებმა სომხეთში გაგზავნეს, ყარსისაკენ. არტაანთან მ. ე. რუსისა და ოსმალოს ჯარს დიდ შეტაკებას მოელიან. ყოველ დღე ახალი ჯარი მოდის სტამბოლიდამ ტრაპიზონში.“

—

ბათუმის ფაშას—დერვიშ-ფაშას შემდეგი დეპეშა გაუგზავნია სტამბოლში ოსმალოს სამხედრო მინისტრის სახელობაზე:

„ბათუმი, 26 ივნისს. ლესმან-ბეი, გუშინ სამის ბატალიონით დაეცა რუსის ჯარს ჯეხანჯირის მახლობლად და დაამარცხა ის. მტრის მხრით—50 კაცია მოკლული.

„ამავე დღეს ჩვენ გავგზავნეთ ბათუმიდამ ორი ხომალდი რამდენიმე ნავით, რომლებზედაც სამი ბატალიონი ჯარი ისხდა, იმ განზრახვით, რომ შეკვეთილისაკენ ადგილები დაეთვალიერებინა. ჩვენმა ჯარმა ხომალდებიდამ დაუშინა ქალაქს ყუმბარები და როცა რუსის გარნიზონი უკან დავსწიეთ, ჩვენი ჯარი ხმელეთზე გავიდა. ქალაქი თითქმის სულ გადიწვა ჩვენი ყუმბარებისაგან. თავის მიზნის მიღწევის შემდეგ, ჩვენი ჯარი ისევ ჩაჯდა ხომალდებზე და ნავებზე და ბათუმისაკენ წამოვიდა.“

—

შეკვეთილთან ოსმალოს ჯარის მისვლის თაობაზედვე ინგლისურს გაზეთში „Daily News“-ში იწერებიან:

„შეკვეთილში სულ 1,000 კაცი იყო რუსის ჯარი. ორის მხრით მოადგენენ ამ ჯარს ოსმალოები: ზღვიდამ ხომალდებით დაუშინეს ყუმბარეები და ხმელეთით ხომალდებიდამ გამოსული ჯარი. რუსის ჯარი იძულებული შეიქნა ბრძოლის ველი მტრისთვის დაეთმო. რამდენიმე ყუმბარა შეშაში და პრავიანტის მაღაზიაში ჩავარდა, ცეცხლი წაუკიდა და დაიწვა.“

—

ამავე გაზეთში ოჩამჩირიდამ იწერებიან, რომ როცა რუსის ჯარი ამ ქალაქს დაეცა, იმათ თავიანთი ზარბაზნები პირ-და-პირ ჩვენ ლოზპიტალს დაუმიზნესო და იმაში რამდენიმე ავათმყოფი და დაჭრილი მოკლესო.

—

პეტერბურლის ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან, რომ მცირე აზიაში მყოფს ოსმალეთის ჯარს სრულებით განზრახვა არა აქვსო, რომ რუსის სამზღვარზედ გადმოვიდესო; იმათ უნდათ მხოლოთ, რომ რუსები აღარ გადაუშვან ოსმალეთის სამზღვარზედ. ამის გამო ამბობენ, რომ მუხთარ-ფაშას სტამბოლიდამ ბრძანება მოუვიდაო, რომ ერთი ნაწილი თავის ანატოლიის არმიისა ბოლგარიაში გაგზავნოს, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ოსმალოების საქმე უფრო ცუდათ მიდის.

—

მუხთარ-ფაშის განკარგულებით, როგორც ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან, ახმეტ-ფაშა რამდენიმე ბატალიონით ყარსიდამ ბაიაზეთისაკენ წასულა იმ განზრახვით, რომ იგდირიდამ ტერ-ლუკასოვი გამოიწვიოს ბრძოლის ველზე, დაამარცხოს და რუსეთის სამზღვარზე განდევნოს იმის ატრიადი.

—

ვენის გაზეთი „Politiche Correspondenr“, შემდეგ ცნობებს გვაძლევს რიონის ატრიადის შესახებ:

„უეჭველია, რომ რუსის ჯარი ციხისძირთან კარგა საგრძნობელად იყო და-

მარცხებული და ამ იერიშმა იმათ დიდი ზარალი მისცათ. ამის შემდეგ ღენერალ აკლობჟიო იძულებული შეიქნა უკან დაეწია თავის ჯარი და ხელი აეღო Ciხის-ძირისა და ბათუმისაკენ წაწევაზე. ოსმალოები კი ახლა თან-და-თან წინ იწევენ. რამდენჯერმე დაეცნენ ისინი სამებასთან გამაგრებულს რუსებს და უკან დააწევინეს მუხა-ესტატემდინ.

„ეს მოხდა 17 (29) ივნისს. მას აქეთ შესანიშნავი აქ არა მომხდარა-რა. მაგრამ რუ'ის ჯარს ისეთი სუსტი და გაუმაგრებელი ალაგები უჭირავს და ოსმალოები ისე მოქმედებენ, რომ საფიქრებელია, რუ'ები მალე კიდევ იძულებული იქნებიან, რომ უკან დაიწიონ ბუორიის სამზღვრისაკენ. მარტო უკანასკნელს ბრძოლაში აკლობჟიოს ატრიადში დაიხოცა და მძიმედ დაიჭრა: 4 შტაბ-აფიცერი, 16 ობერ-აფიცერი და 450 სალდათი და მილიციონერი.“

ევროპის ბრძოლის ველიდამ

რუსულ გაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია საკუთარის კორრესპონდეტისაგან მეღებული ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებს, რომ 4 ივლისს თვრამეტი ბატალიონი რუსის ჯარისა, რომელსაც წინ მოუძღოდა რამდენიმე გზის მაჩვენებელი ბოლგარიელი, შიპკოს ხევთან გადავიდა ბალკანის მთებზედაო. მოწინავე ატრიადი რუსის ჯარისა ოსმან-ბაზარამდი მიეიდაო, ყაზახების კავალერია კი რაზგრადამდინ დაიარებიანო.

—

ლონდონის „Daily News“-ში იწერებიან, რომ დიდ-ძალი რუსის ჯარი მუდამ დღე გადმოდის დუნაიზე და თანდ'ყოველ გვარი სამხედრო იარაღი და ბევრი პრავიანტი მოაქვთო; მომეტებული ნაწილი ამ ჯარისა ოსმალოს ციხეებისაკენ მიდის და იმათ აღებას ემზადებიან; ღენერალი Cიმერმანი, რომელიც თავის ჯარით მეჯიდიეში დგას, აღმოსავლეთით მიდის ამ ციხეებისაკენვე. მეორე ნაწილი ამ არმიისა სოფიისა და ადრიანოპოლისაკენ მიდის ბალკანის მთებზე გადასასვლელად.

—

ერთს ამერიკელს დაუხედნია ბუხარესტში რუსის არმიის სამხედრო ღოშპიტლები და იწერება, რომ მე თითქმის პირველად ეხედავ ყოველის მხრით ასე სუფთად და კარგათ მოწყობილ სამხედრო საავათმყოფოებსაო; სუფთა სახლებია, ექიმები საკმაო და წამალიც რაც კი საჭიროა არ აკლდებათო. ამიტომაც არისო, ამბობს ეს კორრესპონდენტი, რომ რუსის დაჭრილი და ავათმყოფი მეომრები ასე ადვილად და ასე მალე რჩებიანო.

—

ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph“-ში შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი ადრიანოპოლიდამ 30 ივნისს მიღებული:

„დიდ-ძალ ჯარს აგზავნიან ოსმალოები ბალკანისაკენ. ამ მოკლე ხანში აქეთკენ რუსისა და ოსმალოს ჯარს შუა, უეჭველია, ფიცხელი შეტაკება უნდა მოხდეს. ოსმალოს ჯარი ძალიან მხნეთ არის და მოუთმენელად მოელის მტერთან შეტაკებას. რედიფ-ფაშა ბალკანის გასავალ გზებს ამაგრებს; საუკეთესო ჯარი ოსმალეთისა ამ ჟამად ბალკანისაკენ არის მოგროვილი და აქ უცდიან მტრის მოსვლასა.“

—

პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია დუნაის არმიის მთავარ-სარდლის ოფიციალური ტელეგრამმა, რომლითაც ის ულოცავს ხელმწიფე იმპერატორს რუსის მოწინავე ჯარის ბალკანის მთებზე გადასვლას. ეს ჯარი ამ ივლისის 1-ს საღამოს 5 საათზე გადასულა ხანკიოსთან, რომელშიაც 300 კაცი მდგარა ოსმალოს ნიზამები, მაგრამ როგორც ღენერალი ბურკო მიახლოებულა რუსის ჯარით, იმწამსვე დაუთმია ამათთვის ეს სოფელი.

საქართველო

დღიური

*** ერთი შენიშნვა ქალაქის ბამგეობისათვის: მართალია, ხშირად არ ჰგვიან ამ ჩვენ ქალაქის ქუჩებსა, მაგრამ როცა ჰგვიან, იმასაც დღისით; ქუჩებში მოსიარულე ხალხს უხვად აყლაპავენ მტვერს და სხვა-და-სხვა ნაგვისაგან აყენებულ სუნნელებას. რადგან ქალაქის მცხოვრებლების სანიტარული (ჯანმთელობის) საქმის ყურადღების მიქცევა ქალაქის ბამგეობის ერთ უმთავრეს მოვალეობათაგანს შეადგენს, ამის გამო ურიგო არ იქნება, ამ ბამგეობამ მოახდინოს განკარგულება, რომ ქუჩები, თუ შესაძლებელია, ღამით იგვეობდნენ, როცა არავინ არ დაიარება და მტვრისა და სუნნელების ვნებისაგან მცხოვრებლები უფრო მოშორებულნი იქნებიან.

თუ ევროპისა და რუსეთის თითქმის ყველა ქალაქებში ღამით ჰგვიან ხოლმე ქუჩებსა, მგონი, ეს ჩვენშიაც მოსახერხებელი უნდა იყოს....

*** ქუთაისის ბულვარში რომ ამას წინათ „წითელი ჯვრის საზოგადოებამ“ სახალხო სეირნობა გამართა, იმ დღეს, დაჭრილ და ავათმყოფ მეომართა სასარგებლოდ, 1,225 მანეთი შემოსულა.

*** როგორც წინანდელ „დროების“ ნომერშიაც იყო მოყვანილი, წელს ქახეთისა და იმერეთისაკენ გვალვის შიშია, რადგან ეს ერთი თვეა, რაც წვიმა არ მოსულა და საშინლად ! ცხელდა. მაგიერად ქართლის სოფლებიდამ მოგვდის ამბები, რომ წელს წვიმები აქეთკენ თავის დროზედ მოდისო და კარგი მოსავლის იმედიცა გვაქვსო.

*** ქართლიდამვე გვატყობინებენ, რომ, თუმცა წელს კარგი მოსავლის პირი სჩანსო, მაგრამ მაგიერად მეორე მხრით მოგველის უბედურებაო: სურამის უჩასტკის ზოგიერთს სოფლებში პირუტყვის ჭირი გაჩნდაო, ნამეტნავად ძროხებისა, და გლეხები ისეთნაირად არიან შეშინებულნი, რომ თავიანთ საქონელს ნახირში აღარ რეკავენო.

*** ბასულ პარასკევის „კავკაზის“ ნომერში დაბეჭდილი იყო „თფილისის მოამბის“ რედაქტორთან უფ. ნიკო ნიკოლაძისაგან მოწერილი წიგნი, რომელშიაც ის აცხადებს, რომ „რადგან „თფილისის მოამბის“ ზოგიერთ მკითხველებს ჰგონიათ, რომ მე კიდევ თანამშრომელი ვარ ამ გაზეთისა და იმის რედაქციაში მონაწილეობას ვიღებ, ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე, ჩემდა სამწუხაროთ, სხვადა-სხვა გარემოების გამო, უარ-ვყავი თქვენს გაზეთში თანამშრომელობა და რედაქციის შრომაში მონაწილეობის მიღება.“

თუმცა „თფილისის მოამბე“ ახლა მაგრად არის ფეხზე დაყენებული, მაგრამ იმისთანა თანამშრომელის გამო'ელა რედაქციდამ, როგორიც იყო უფ. ნ. ნიკოლაძე, რალა თქმა უნდა, რომ საგრძნობელი დასაკლისი იქნება რედაქციისა და ამ გაზეთის თაყვანის-მცემლებისათვის.

*** რუსულს გაზეთს „ჩრდილოეთის მოამბეში“ („Сѣверный Вѣстникъ“) დაბეჭდილია შემდეგი კორრესპონდენცია 26 ივნისს თფილისიდამ გაგზავნილი:

„ბაქოს ღუბერნიის მუსულმანები ძალიან უკმაყოფილოდ არიან საზოგადოთ რუსობაზედ. მუსულმანთ გროვა დაეცა ამას წინათ სამხედრო უწყების სკლადს, საცა თოფ-იარაღი და წამალი ბგონათ იყო; მაგრამ ძველი ზარბაზნების მეტი არა დახვდათ-რა; ამის გამო მიყარ-მოყარეს ეს ზარბაზნებ და წავიდნენ ადგილობრივ ჯარის უფროსმა გამოუცხადა ამ აჯანყებულ ხალხს, რომ, თუ ახლავე თავ-თავის შინ არ წავლენ მშვიდობიანათ და არ წარუდგენენ იმას მოთავე კაცებს, ციხიდამ დაუშენ ქალაქს ზარბაზნებსაო და ისე დავანგრევ, რომ ქვა-ქვაზედაც აღარ დარჩესო. აჯანყებულები შეშინდნენ და იმ წამსვე წარუდგინეს იმას თავის მოთავე, რომელიც აღმოჩნდა მოლლა, რომელიც აჯანყებასა და „სამღვთო ომს“ უქადაგებდა თურმე ხალხს.

„აქამბობენ, რომ ადგილობრივ(თელავის) უეზდის უფროსს ადვილად შეეძლო, რომ არავითარი არეულობა და უწესობა არ მომხდარიყო. დიდ-

ლეკებშიო, რომ თავიდამე ჯეროვანი განკარგულება მოეხდინა და თავიანთ მოქცეულიყო. ამბობენ, რომ ამ უეზდის უფროსს სამი-ოთხი დღის წინათ აცნობეს თურმე თუშებმა, რომ დიდოელები რაღაცას აპირებენო; მაგრამ ამან, რაიმე განკარგულების მოხდენის მაგიერ, ყველაზედ პირველად თავის-თავისთვის და თავის ცოლ-შვილისათვის ზრუნვა დაიწყო და რამდენიმე დღე იმათ დახიზნვას მოუნდაო.“

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 7 ივლისს. თელავიდგან დაწყებული სიღნაღის უეზდის მიჯნამდის, შოსეზედ, მანძილ-მანძილ არის გაკეთებული ხის ბოგირები მდინარე და წვიმის წყლის გასავლელად; ეს ბოგირები რავდენსამე ალაგს ისეთნაირად ჩანგრეულებია სიძველისაგან, რომ ამ მოკლეს ხანში რავდენიმე საზარალი და უბედური შემთხვევა მოახდინა. ამათგან ორი თითონ მე ვნახე; პირველი ის იყო, რომ ერთი სოფლელი პატარა ბიჭი მიდიოდა და, რადგანაც ბოგირი ჩამტვრეული იყო, ზედ ვეღარ გამოიარა სწორეთ და გადმოხტა; ამ დროს ჩაუტყდა ერთი დაფუცუნებული ხე და ყმაწვილი ჩავარდა ბოგირს ქვეშ მდინარე წყალში, რომელსაც ისეთი არხი დაელრმავებინა თავის მდინარეობით, რომ ამ ყმაწვილს დახრჩობის მეტი გზა არა ჰქონდა, თუ ამ დროს გზათ მომავალს ირთს იმერელს არ ამოეყვანა ის წყლიდგან. მეორე კიდეე ის იყო, რომ ერთ კაცს მოჰყავდა თელავისაკენ ცხენით თავისი ქალი; ბოგირზედ გადმოსვლის დროს ცხენს ჩაუარდა ფეხი და წაიქცა, ზედ მჯდომი გადმოვარდა და ხელი იტკინა და თითონ ცხენმა კი ფეხი მოიტეხა; მოგზაურებმა შექმნეს ტირილი, ქალი ჩიოდა ხელსა და კაცი კი ცხენსა: „ბაიმე, თაო დაღუპილო, რაღა პასუხი გავცე ცხენის პატრონსაო!“ იმეორებდა ხშირად გლეხი; ალბად ის ცხენი ან ნათხოვარი ჰყვანდა უბედურს გლეხს და ან ნაქირავები.

უეზდის გამგეობის ჩინოვნიკები, განსაკუთრებით უფროსის თანაშემწე, ხშირათ დაიარებიან სოფლებში და არ ვიცი რა მიზეზია, რომ ამ შესანიშნავს საგანზედ ყურადღება არ მიუქცევიათ. ამ ბოგირების მონაწილებას ორ-ორი ხის მეტი არ ეჭირება და ყოველს სოფელს შეუძლია ამის გაკეთება თავ-თავის საზღვარში ერთის საათის განმავლობაში.

ბუშინ № 87-ის „დროების ფოჩტაში“ მღვდელმა მ. ჩ—ძემ წაიკითხა ქ. დ.—სთან მიწერილი შემდგომი: „ნაფარეულის მღვდელმა და მეღორემ გაგვიჭირეს საქმე და ახლა თქვენც თუ თქვენის ბატებით დაგვიწყეთ ერიში, ცუდათაა ჩვენი საქმე“, და ერთი ძალიან ამოიოხრა. როდესაც ჰკითხეს ამ მღვდელს მიზეზი ოხერისა, იმან უპასუხა, რომ ეს შინიშნა მე შემეხებაო, მე ვარ ნაფარეულის მღვდელიო; ნეტავი ცოტა წინეთ დეეწერათ ესა, რომ იქნება ს—შვილი ცრუ ამბავს ჩემზედ აღარ ჩასწერდა გაზეთებშიაო. წარსულის ფოჩტით მოსულს ქართულს გაზეთშიაც იყო ჩემზედ რაღაც ბრალდებულება ჩაწერილიო და მინდოდა თავის გამართლებაო, მაგრამ ეხლა ველარ გავგზავნი ჩემს პასუხსაო. მაგრამ ეს იმედიც შეიძლება ვიქონიო, რომ ამასიქით შვილის წერილებსაც აღარ მიუგდებენ ყურსაო.

Ученый იცის ვინცა ვარ

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

მმართებლობას ჯერ კიდეე არ გამოუცხადებია ოფიციალურად—თუ როდისთვის იქნება მომავალ ნაციონალურ კრების დეპუტატების კენჭის-ყრა. ამიტომაც სხვა-და-სხვა გაზეთები ათასნაირ ხმას ავრცელებენ ამ საგნის შესახებ: ზოგი ამბობს, რომ კენჭის-ყრა 14 სექტემბერზე ადრე არ იქნებაო, ზოგი კი ამტკიცებს, რომ 14 ოქტომბერს უნდა მოხდესო. ნამდვილი კი, ვიმეორებთ, სანამ თვითონ მმართებლობას არ გამოუცხადებია, ჯერ არავინ იცის. ერთი ნემეცური გაზეთის კორრესპონდენტი იწერება, რომ გუშინ 11 ივლისს გერცოგ ბროჰლისთან მინისტრების კრება იყოო და ამ კრებაზე გადაწყვიტესო, რომ საზოგადო კენჭის-ყრა მთელს საფრანგეთში 16 სექტემბერს უნდა იქნეს დანიშნულიო.

— რადგან მმართებლობა ახლავე გაცხარებით ემზადება ამ ამორჩევებისათვის, ნიშნავს თავის კანდიდატებს და იმათ ამოსარჩეველად ყოველგვარ კანონიერ და უკანონო საშუალებას ხმარობს, ამის გამო რესპუბლიკელებმა შეადგინეს თავიანთ პარტიის გამოჩენილი იურისტებისაგან ცალკე კომიტეტი, რომელსაც მინდობილი აქვს თვალ-ყური ადევნოს, რომ კენჭის-ყრის დროს მმართებლობა და განსაკუთრებით ბონაპარტისტების პარტია ამორჩევის შესახებ დადგენილ კანონებს არ გადასცდეს და თუ რამე უკანონობა შენიშნონ, იმწამსვე აცნობონ რესპუბლიკურ პარტიასა და, გაზეთების საშუალებით, მთელს საფრანგეთსაც.

— მონარხისტების პარტიას 170 თავიანთი მომხრის კანდიდატის ამორჩევის იმედი აქვს თურმე. ამ ას სამოც-და-ათ კანდიდატში 65 ბონაპარტისტი უნდა იყვეს, 58 ორლეანების მომხრენი და 47 ლეგიტიმისტი (ბურბონების მომხრენი).

სერბია

ბევრს სწერდნენ ამას წინათ გაზეთებში იმის შესახებ, რომ ვითომც სერბია ჯარებს ამზადებს ომში მონაწილეობის მისაღებად, რომ ამ პატარა სახელმწიფომ და ჩერნოგორიამ ერთმანერთში პირობა შეკრესო, რომ ერთად იმოქმედონ ოსმალეთის წინააღმდეგ და სხვ. ერთს ნემეცურს გაზეთში დაბეჭდილია ახლა ბელგრადიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც იწერება, რომ ყველა ეს ხმები ტყუილი და უსაფუძვლო ხმებიაო, სერბიას სრულებით არ მოუხმია თავის ჯარები; მაგრამ განკარგულება კი მოახდინაო, რომ თუ ვინიცობაა ომში მონაწილეობის მიღება შეემთხვა, ათს დღეში სრულიად მზად იქნეს ბრძოლის ველზე გასაგზავნად.

კავკასიის საბანკო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარი-ბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-მდინ—დოქტორი ოსნანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დ. მ 12 მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი შაშაშაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა. რემერტის, ალბანუსის და ანანოვის

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახში კი დღეში—1 მანეთი.

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის; თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ბიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცეური და ასატუროვი —შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი —ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, ძიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.

განცხადებანი

გამოცდილი და **განათლებული ქალი**, რომელმაც იცის რუსული, ფრანცუზული, ანგლიური და ნემენცური, **აძლევს ურროკებს** იაფ ფასათ.

მსურველს ამ ქალის ნახვისა, შეუძლიან მიჰმართოს მადამ ქანონიჩს ტეტრადოვის სახლებში ოვრაჟკის ქუჩაზე.

(3—1)

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის რჩევის გადაწყვეტილების ძალით, რომელიც დადგენილია ამ 1877 წლის 6 ივნისს, **თფილისის ქალაქის გამგეობამ** აღმასრულებელი ჩინოვნიკის თანამდებობის აღმასრულებელს **ლუარსაბ მარაგოვს** მიანდო **თითო მანეთის ხარჯის** გადახდა იმ მამობრივი სქესის მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომელნიც ქირით დგებიან ქალაქს თფილისში.

ამ ფულის შემოტანის დროს ყოველ მოსამსახურემ და მუშამ უნდა მოითხოვოს დაბეჭდილი კვიტანცია, რომელიც იმათთანავე უნდა ამოსჭრან შნურიანის წიგნიდამ. ხელ-ნაწერს კვიტანციებს, რომლებზედაც სხვა ვისმესი ხელი იქნება ქალაქისა, და არა მარაგოვისა ზედ მოწერი გამგეობა ნამდვილად და კანონიერად არ აღიარებს.

ამ კვიტანციებს გარდა **მუშები**, რომლთაც სგვა და-სხვა საქონელსა ნივთიერებას ზიდავენ ქალაქში, **მიიღებენ მარაგოვისაგან** ნომერ დასმულს მეტალიურა ნიშანს (ბლიახას), რომელიც ამ ძუშებმა უეჭველად მარცხენა გულზედ უნდა მიიკრან ტანისამოსზე და იე ტარონ.

(3—3)

სრული კანონი ვახტანგ მეფისა, ბიოგრაფი მეფისა, ქათალიკოზისა, ალბუღასი, ბერძმული, სომხური და ურიული (მოსესი). ლურჯ ქალალდზე დაწერილი, სუფთათ, და ყდაში არის შეკრული.

ფასის გაგება შეიძლება ექვთიმე ხელაძის სტამბაში.

(3—3)

ისყიდება ქვემო-მოყვანილი **ქართული წიგნები:**

1) **მრთი** წლის „**საქართველოს ყოამბე**“ ყდაში, 2) **ბეოგრაფია ბქართველოსი** მეფე ვახუშტისა, ბ) **მიწერ-მოწერა** ქართველთ მეფეებისა **რუსეთის** ხელმწიფეებთანა, 4) **ჩუბინოვის** დიდი ქართული, რუსული და ფრანცუზული **ლექსიკონი**, 5) **ძველი აღთქმა**, ვენეციაში დაბეჭდილი 6) **ჩუბინოვის** პატარა **რუსული** და ქართული **ლექსიკონი**, 7) **ქალმასობა** **ბიანე** ბატონიშვილისა, და პლატონ **ბიელიანის** გამოცემული წიგნები და ქართული ჟურნალი „**ცისკარი**“ დარსებიდამ ვიდრე მოსპობამდინ, ესე იგი 1852—1853 წლამდინ და შემდეგ 1857 წლიდამ, ვიდრე 1875 წლამდინ, ხოლო რამდენიმე ნომერი კი აკლია.

ფასის გაგება ექვთიმე ხელაძის სტამბაში შეიძლება.

„კეკეთი“

სარძეო სარდაფს „კეკეთი“, ყოველ დღე ისყიდება: კარაქი, ნაღები, მეტანა, ტვიროგი, ყველი, უდუღარი და ადუღებული რძე და მაწონი.—

ამ ზაფხულს მსურველთ ქოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩინებმა წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.

სარძეო სარდაფი „კეკეთი“ იმყოფება: **სასახლის** ქუჩაზე, **მუზეუმის** პირდაპირ, **შაბუროვის** სახლებში, სადაც უწინ **ივანოვის** ბიბლიოთეკა იყო.

ძალისამებრ კონტრახტისა, რომლითაც შეეკარ მე **თ**ფილისის **ქ**ალაქის **გ**ამგეობას, 3 ივნისს ამა 1877 წელსა, მე ავიღე იჯარით (ოტკუპით) შეკრება ხარჯისა, რომელიც ერთმეორის საზღვისათვის, მსუბუქი დროშკებითა, ფაეტონებითა და მძიმე საქონლის ზიდვითა, პოვოსკებითა და თუ ფურგუნებითა.

ამ საგნისათვის მაქვს ნაქირავები კანტორა ერევნის მეიდანზედ, **ალავერდოვის** სახლში სასულიერო **სემინარიის** პირ-და-პირ, მეჩანსკის უპრავას გვერდით.

უმდაბლესად ვსთხოვ ყოველთა, რომელთაც არ მიუღიათ ამ წლისათვის ბლიახი, გამოცხადდნენ ჩემს კანტორაში მისაღებლათ ბლიახისა, რომლისათვისაც უნდა მისცენ განწესებული ფული. **ფ**ულის მიღება და ბლიახის მიცემა დაწყობილი იქმნება ყოველ დღესა დილით 8 საათიდამ ვიდრე 2 საათამდე შუადღის უკანა, გარდა კვირისა და უქმი დღეებისა. **ა**მისთვის მაქვს პატივი გამოუცხადო ყოველთა საერთოთ.

მოიჯარადრე **ს**ტეფან **ბ**ოდლათბეგოვი

რკ. გზა.	**დილ.**		**საღამ.**		**II კ.**		**III კ.**	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	**კაპ**
ბცი სიტყვა **თ**ფილისიდამ:		
ქუთაისს, **ფ**ოთს . .	1	—
ბორს, **დ**უშეთს, **ს**ილნალს	-	50
رოსტოვს, **ო**